




საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი


დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ფინანსური მდგრადობა და სწორი პოლიტიკის განსაზღვრა წარმოადგენს ცენტრის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რომელზეც არის დამოკიდებული ცენტრის ყველა მიმართულებით მუშაობის ფინანსური უზრუნველყოფა. ცენტრი ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვას (მ.შ. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებს), საგრანტო პროექტებს და კომერციული საქმიანობის ფინანსურ პროცედურებს. კერძოდ, დეპარტამენტი უზრუნველყოფს ცენტრის კონსოლიდირებული ბიუჯეტის დაგეგმარებას და საბიუჯეტო პროცესის სწორად წარმართვას, სახელმწიფო შესყიდვების კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას, ბუღალტრულ აღრიცხვას დადგენილი სტანდარტების შესაბამისად და მატერიალური მარაგების აღრიცხვას; ცენტრი დღეის მდგომარეობით ქვეყნის სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შედარებით ყველაზე დიდი მოცულობით საგრანტო პროექტებს მართავს. ცენტრის ფუნქციების ზრდიდან გამომდინარე მკვეთრად გაიზარდა დაფინანსება, რაც პირდაპირ აისახება საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის სამუშაო მოცულობაზე. კერძოდ: გაზრდილია ცენტრის საკუთრებასა და სარგებლობაში არსებული აქტივების მოცულობა.

- ✓ 2016 წელს ცენტრი ახორციელებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის 10 სახელმწიფო პროგრამას
- ✓ 2016 წელს 16 სხვადასხვა საქართველოს დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით ცენტრი ახორციელებს 65 საგრანტო პროექტს

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიმართებაში NCDC-ის დაფინანსების დინამიკა




2016 წ. NCDC ბიუჯეტი 65.2 მლ. ლარი



NCDC-ის დაფინანსების დინამიკა წლების მიხედვით

2015 წელს NCDC-იმ გააფორმა 40,0 მლ. ლარის საქართველოს საერთო ბიუჯეტის 878 შესყიდვის ხელშეკრულება, მ.შ. 224 ტენდერის საფუძველზე

2016 წლის 10 თვის მდგომარეობით (გარდა ფინანსური აქტივებისა) NCDC განაგრძავს 251,2 მლ. ლარის აქტივებს



2016 წელს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ NCDC დასახელდა როგორც ყველაზე გამჭვირვალე დაწესებულება

სტრუქტურა

საფინანსო სამმართველო

შესყიდვების სამმართველო

ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველო

ლოგისტიკის სამმართველო